# ეს ჩვენი ისტორიაა

## ახალი მემარჯვენეები

24

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი მემარჯვენეები

24

# შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად!

## "ახალი მემარჯვენეების" საარჩევნო პროგრამა

1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა გააკეთებს არჩევანს, რომელზეც დამოკიდებული იქნება ჩვენი ქვეყნის უახლოესი მომავალი.

ეს არჩევნები, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი პარტიისთვის, რომელსაც 12 წლის არსებობის მანძილზე არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მისთვის მთავარი ქვეყნის ინტერესი და ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირების შესრულებაა.

„ახალი მემარჯვენეები“ ვართ პარტია, გამორჩეული ჩვენი ხედვით, პოზიციით, რომელიც ზოგჯერ შესაძლოა კრიტიკულად აღიქმება საზოგადოების მხრიდან, მაგრამ საბოლოოდ დრო აჩვენებს-ხოლმე, რომ ჩვენ მართლები ვიყავით და ეს პოზიცია ყოველთვის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა.

განსხვავებული და გამორჩეულია “ახალი მემარჯვენეების” პოზიცია ახლაც, როცა 2012 წლის არჩევნების შედეგად ჩვენ არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივას ვხედავთ, არამედ იმის შესაძლებლობასაც, რომ ქვეყანაში შეიქმნას მრავალპარტიული, დაბალანსებული პარლამენტი და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც გამორიცხავს ერთი პიროვნების, ერთი პოლიტიკური პარტიის ნება-სურვილზე ქვეყნის მართვას.

“ახალი მემარჯვენეები” ვგეგმავთ პარლამენტში დაბრუნებას არა მხოლოდ განსხვავებული აზრის დასაფიქსირებლად, არამედ დემოკრატიის და ეკონომიკური განვითარებისკენ საქართველოს რეალური სვლის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ გვაქვს მკაფიო ხედვა, როგორ შევქმნათ სტაბილური სახელმწიფო, სადაც ადამიანები იქნებიან დასაქმებული და სოფლად და ქალაქად ოჯახები შეძლებულად იცხოვრებენ.

ჩვენი მიზანია:

**თითოეულ ოჯახს შემოსავალი მინიმუმ 1000 ლარი თვეში და არა 4 წელიწადში**

### შეძლებული ოჯახი ნიშნავს:

- დასაქმებულ და ღირსეული შემოსავლის მქონე ოჯახის წევრებს (თვეში მინიმუმ 1000 ლარი თითოეულ ოჯახს);
- ოჯახის თითოეული წევრისათვის გარანტირებულ სამედიცინო მომსახურებას (დაზღვევის თუ სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით);
- ოჯახში ყველა მსურველისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას;
- პენსიას ოჯახის ხანდაზმული წევრებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის შესაფერის ღირსეულ ცხოვრებას;

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ შემუშავებული გვაქვს ეკონომიკის გაძლიერების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დამყარებულ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში;

*ამ გეგმის შესაბამისად :*

- ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ, რომ საქართველოში ბიზნესი გათავისუფლდეს ტერორისგან;

*ამ მიზნით:*

- “ახალი მემარჯვენეები” საკანონმდებლო დონეზე მოვახდენთ ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმებას;
- ბოლო მოეღება ჩეკებით დაჯარიმებით მცირე მეწარმეების დატერორებას;
- ბიზნესისთვის უსაფრთხო და პროგნოზირებადი გარემოს შექმნის მიზნით საგადასახადო კოდექსს ვაქცევთ ორგანულ კანონად, რათა მისი შეცვლა პარლამენტში ხმათა უბრალო უმრავლესობით შეუძლებელი იყოს;
- ჩვენ დავიცავთ საქართველოს შრომის ბაზარს და შემოვიღებთ კანონმდებლობას, რომელიც შეზღუდავს უცხოეთიდან სამუშაოდ სხვა ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლას;
- ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს ბრძოლას მონოპოლიების წინააღმდეგ, რის შედეგადაც მოსახლეობას ექნება საშუალება შეიძინოს იაფი საწვავი, წამალი, საკვები პროდუქტები და პირადი მოხმარების საგნები;

- ეკონომიკის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად გამოვაცხადებთ მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, რითაც შევქმნით ასი ათასობით სამუშაო ადგილს და მნიშვნელოვნად შევამცირებთ უმუშევრობას ქვეყანაში.

*ამ მიზნით:*

- შევქმნით მცირე ბიზნესის განვითარების ფონდს, რომნელიც ბიზნესის დაწყების და გაფართოების ყველა მსურველს მისცემს დაბალპორცენტიან - წლიურ 4-6-%-იან გრძელვადიან სესხს;
- ფონდი ყოველწლიურად საშუალოდ 10 000 პროექტს დააფინანსებს. რაც საშუალოდ 40 000 დასაქმებულს ნიშნავს;

- განვახორციელებთ კიდევ ერთ ჩვენს ინიციატივას „ფართი დასაქმების სანაცვლოდ”, რომლის შედეგად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უამრავი უმოქმედო საწარმოს ფართი სიმბოლურ ფასად - 1 კვ. მეტრი 1 ლარად გადაეცემათ იმ კომპანიებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას ყოველ ასეთ 10 კვადრატულ მეტრზე დაასაქმონ მინიმუმ ერთი ადამიანი. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს, რომ მოკლე დროში ქვეყანაში დამატებით შეიქმნება ათეულ ათასობით ახალი სამუშაო ადგილი და რეალურად გაიზრდება იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაუჩნდებათ სტაბილური შემოსავალი;

### სოფლის მეურნეობას ბიზნესისთვის მიმზიდველ დარგად ვაქცევთ და ამით ხელს შევუწყობთ სოფლად სამუშაო ადგილების შექმნას;

*ამ მიზნით:*

- 4-ჯერ გავზრდით სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსებას, რაც წელიწადში 600 მლნ. ლარს უდრის; შედეგად რეალურად ასეთ სურათს მივიღებთ:

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება (მშპ-სთან მიმართებაში)**




ახალი მემარჯვენეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად!

- 4 წლის განმავლობაში მოგების გადასახადისაგან გავათავისუფლებთ იურიდიულ პირებს, რომლებიც უშუალოდ სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებაში განახორციელებენ 500 000 ლარზე მეტის ინვესტიციას;
- გლეხისთვის და ფერმერისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისათვის შევქმნით „სასოფლო ბანკს", საიდანაც სესხის აღება შესაძლებელი იქნება წლიურ 3-4 %-ად;

განვახორციელებთ ჩვენს ინიციატივას **"თითო საწარმო თითო სოფელში "** და ამისთვის შევქმნით სტიმულირების ეფექტურ მექანიზმებს:

- სოფლად საწარმოს ამოქმედების მსურველებს მიწა გადაეცემათ უფასოდ;
- ადგილზე, სახელმწიფოს ხარჯზე, მიყვანილი იქნება კომუნიკაციები: წყალი, ელექტროენერგია, გაზი;
- 4 წლით ეს საწარმოები გათავისუფლდებიან გადასახადებისგან;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწვავს გავათავისუფლებთ დღგ-სა და აქციზის გადასახადისგან და მის საფასურს თითო ლიტრზე 60-65 თეთრით გავაიაფებთ;
- მელიორაციისთვის ( ირიგაცია, დრენაჟირება) ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 80 მლნ. ლარი გამოიყოფა;
- ყველა სოფელს ეყოლება მინიმუმ ერთი ტრაქტორი და ამ მიზნით ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში დავიწყებთ ტრაქტორების წარმოებას, რის შედეგადაც ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა უახლოეს 2 წელიწადში 5000 ერთეულამდე გაიზრდება;
- სახელმწიფო გადაუხდის გლეხს სასუქის და შხამ- ქიმიკატის საფასურის 50%-ს;
- შემოვიღებთ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას. გლეხი გადაიხდის დაზღვევის მთლიანი საფასურის მხოლოდ ნახევარს;
- ყოველ სოფელს ეყოლება საკუთარი ვეტერინარი და აგრონომი;
- სიღნაღში შეიქმნება აგრარული უმაღლესი განათლების მძლავრი ცენტრი.

## 21-ე საუკუნის ქართული სოფელი

მთლიანად ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ქვეყანაში გამოყოფილი ბიუჯეტის 40% - დაახლოებით 250 მლნ. ლარი ყოველწლიურად სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაიხარჯება;

ყველა სოფელში იქნება გზა, გაზი, წყალი, კულტურის ცენტრი, სპორტული მოედანი, სწრაფი ინტერნეტი;

მივიღებთ კანონს სოფლის შესახებ, რომელიც სოფელს თავის საკუთრებას - სახნავ-სათესს, სათიბს, საძოვარს, ტყეს და წყალს დაუკანონებს. სოფელი თვითონ აირჩევს თავის რწმუნებულს და თავად განკარგავს ბიუჯეტიდან სოფლისთვის გამოყოფილ ფულს;

## ახალი საავადმყოფოები - ხალხისთვის და არა სახელისუფლებო პროპაგანდისთვის

ხელისუფლება ყოველდღე საუბრობს, რომ ახალი საავადმყოფოები ააშენა და მოსახლეობისთვის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახადა, თუმცა ამ საავადმყოფოებში მკურნალობის საშუალება ჩვენი მოქალაქეების უდიდეს ნაწილს არ აქვს.

ჩვენ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დღეს არსებული 1.6%-დან 2.5%-მდე გავზრდით და მივაღწევთ, რომ საქართველოში ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება მივიდეს ექიმთან, იმკურნალოს და შეიძინოს ექიმის მიერ დანიშნული წამალი.

ჩვენ უზრუნველვყოფთ სამედიცინო დაზღვევის საყოველთაოობას. ყველას, ვისაც შემოსავალი აქვს მივცემთ საშუალებას საშემოსავლო გადასახადიდან გარკვეული თანხა მიმართოს საკუთარი და ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევის შესაძენად.

სოფლად მუდმივად მცხოვრებ ადამიანებს ამ ეტაპზე სახელმწიფო დააზღვევს.

უმოკლეს ვადაში შეიქმნება C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკას;

ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაფინანსდება C ჰეპატიტით დაავადებული მინიმუმ 2000 პაციენტის მკურნალობის ხარჯი;

## განათლებაზე ზრუნვა - ინვესტიცია მომავალში

დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ განათლება მისი პრიორიტეტია, სინამდვილეში, საქართველო განათლების დაფინანსების მიხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში.

ჩვენ გავაორმაგებთ განათლებაზე გამოყოფილ ხარჯებს, (ყოველწლიური 1.5 მილიარდი ლარი) რის შემდეგაც რეალურად ასეთ სურათს მივიღებთ:

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების დაფინანსება (მშპ-სთან მიმართებაში)**




*ამის შედეგად:*

- ყველა სოფელს ექნება თანამედროვე სკოლა;
- ყველა მოსწავლე I-IX კლასის ჩათვლით უფასოდ მიიღებს სასკოლო სახელმძღვანელოს;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება პედაგოგის ხელფასი და კვალიფიკაცია.
- ყველა ახალგაზრდას ექნება საშუალება, მიუხედავად ოჯახის შესაძლებლობებისა, მიიღოს უმაღლესი ან პროფესიული განათლება და დაეუფლოს სასურველ პროფესიას;

*ეს არის ზუსტად გათვლილი და რეალისტური გეგმა, როგორ უნდა ვაქციოთ საქართველო ქვეყნად, სადაც ყველა ოჯახი სოფლად და ქალაქად შეძლებულად იცხოვრებს.*

*სწორედ განათლებული დაფინანსურად დამოუკიდებელი ადამიანები ქმნიან თავისუფალ საზოგადოებას და თავისუფალ ქვეყანას.*

**თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში ჩვენ ამას მივაღწევთ.**

*სრულად პარტიის ყოვლისმომცველი პროგრამა იხილეთ ჩვენს ვებ.გვერდზე*
*www.nrp. ge*

ახალი მემარჯვენეები

24

დამკვეთი: პ/გ "ახალი მემარჯვენეები"; მის.: თბილისი ჟ.კალანდაძის 3; რიგითი ნომერი: 24;
შემსრულებელი: შპს "ტორი პლუსი" მის.: ზიგზაგისა და გავაზაურის კვეთა ტირაჟი: 300 000; 7 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**2012 წელი**

www.nrp.ge

# 24

# შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად!

## ახალი მემარჯვენეები



5ლ

24

157/6

**ახალი მემარჯვენეები**

PX 4468/1.